



თბილისი კაპიტალი

გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

23 თებერვალი 2026

რატი წიკლაური

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ალექსანდრე გველესიანი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ნიკა კვაშალი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

მოკლე შეჯამება


მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა

	უკუგება (USD,%)	
MSCI აქციების ინდექსები	კვირა	YTD
აშშ	1.08	0.69
ევროპა	2.23	6.51
აზია (გარდა იაპონიისა)	1.11	11.09
იაპონია	(0.73)	11.46
განვითარებადი ბაზრები	0.79	11.60
მსოფლიო	1.05	2.82


ბაზრის პულსი

ამ კვირაში ამერიკული აქციები გაიზარდა, მაგრამ ევროპულ აქციებთან შედარებით უფრო სუსტი შედეგი აჩვენა. Wall Street-ს გაუჭირდა ტემპის შენარჩუნება ხელოვნურ ინტელექტზე დანახარჯებთან დაკავშირებული შეშფოთების გამო. მეორე მხრივ, ევროპულმა აქციებმა უკეთესი შედეგი აჩვენა, რადგან ინვესტორებმა აშშ-დან კაპიტალის გატანა განაგრძეს, ხოლო ტრადიციული ინდუსტრიული და ფუფუნების საგნების მწარმოებელი კომპანიების აქციები კვირის განმავლობაში გაიზარდა. ბოლოს, იაპონური ბაზრები სანაე ტაკაიჩის არჩევნებში გამარჯვების შემდგომი სწრაფი ზრდის შემდეგ დაეცა, რასაც სუსტმა კორპორატიულმა შედეგებმა შეუწყო ხელი.

აქტივების კლასების უკუგება (კვირა)




აშშ-ის სექტორული უკუგება (კვირა)




დეჟა-ვუ: ევროპული აქციების დაბრუნება

ინვესტორებს თანხები ევროპულ აქციებში გადააქვთ, და გადაფასებულ, ტექნოლოგიებით დატვირთულ აშშ-ის ბაზარს გაურბიან. ხელოვნური ინტელექტის პოტენციური “ბაბლისგან” დივერსიფიკაციის მიზნით, ისინი უპირატესობას ევროპის უფრო იაფ, ტრადიციულ სექტორებს ანიჭებენ, როგორც თავდაცვა და საბანკო საქმეა. ოპტიმიზმი ევროპის ეკონომიკური აღდგენის მიმართაც იზრდება. გერმანია, რეგიონის ყველაზე დიდი ეკონომიკა, ზრდას დაუბრუნდა, რაც თავდაცვის ხარჯებისა და ინდუსტრიული შეკვეთების მასიური მატებითაა განპირობებული.



მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა



MSCI აქციების ინდექსები	უკუება (USD,%)			
	1-კვირა	1-თვე	წლის დასაწყისიდან	1-წელი
აშშ	1.08	(0.28)	0.69	14.46
ევროპა	2.23	3.78	6.51	13.30
აზია (გარდა იაპონიისა)	1.11	5.12	11.09	33.27
იაპონია	(0.73)	4.64	11.46	38.15
განვითარებადი ბაზრები	0.79	4.40	11.60	36.60
მსოფლიო	1.05	1.11	2.82	18.53


ნყარო: Bloomberg

კვირის მთავარი მოვლენები


- ამერიკულმა აქციებმა ამ კვირაში ცუდი შედეგი აჩვენეს, რაც იმედგამაცრუებელი ეკონომიკური ზრდითა და მოსალოდნელზე მაღალი ინფლაციის მონაცემებით იყო გამოწვეული. უოლ სტრიტს ბოლოდროინდელი ტემპის შენარჩუნება გაუჭირდა, რასაც სამომხმარებლო ფასების ჯიუტმა ზრდამ შეუწყო ხელი. ფედერალური სარეზერვო სისტემის ფრთხილი პოზიცია, რაც საპროცენტო განაკვეთების შემცირების იმედები აქარწყლებს, ინვესტორებს სიფრთხილისკენ უბიძგებს.
- ამ კვირაში ევროპული აქციები გაიზარდა, რაც ძლიერი კორპორატიული შემოსავლებითა და რეგიონული ბიზნეს აქტივობის მოულოდნელი დაჩქარებით იყო განპირობებული. ინვესტორებს სულ უფრო მეტად გადააქვთ კაპიტალი ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს და ტექნოლოგიებით დატვირთული აშშ-ის ბაზრის უფრო იაფ და ფართოდ დივერსიფიცირებულ ალტერნატივას ეძებენ. ეს როტაცია ტრადიციულ სექტორებს ეხმარება, როგორც თავდაცვა და საბანკო ბიზნესია.
- ამ კვირაში იაპონური აქციები დაეცა, არჩევნების შემდგომი ემოციების ჩაცხრომისა და იმედგამაცრუებელი შიდა ეკონომიკური მონაცემების გამო, რამაც ინვესტორებს ბოლოდროინდელი მოგების დაფიქსირებისკენ უბიძგა. თვის დასაწყისში პრემიერ-მინისტრ სანაე ტაკაჩის ვადამდელ არჩევნებში გადამწყვეტი გამარჯვებით გამოწვეული მასიური აღმასვლის შემდეგ, ბაზარმა ძალა მოულოდნელად დაკარგა.

აქტივების ბაზრის მიმოხილვა

აქტივების კლასების კვირის უკუგება



აქტივების კლასების უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე



წყარო: Bloomberg


გასული კვირის მნიშვნელოვანი ცვლილებები

- ევროპული აქციები** ამ კვირაში სხვა განვითარებულ ბაზრებზე უკეთეს შედეგებს აჩვენებს, რადგან ინვესტორები ამერიკული აქციებიდან კაპიტალის დივერსიფიკაციას განაგრძობენ. კვირის მოძრაობა ასევე განპირობებული იყო ხელშემწყობი მაკროეკონომიკური მონაცემებითა და მსხვილი კომპანიების შემოსავლების გაუმჯობესებული მოლოდინებით.
- ბიტკოინის** ფასი ამ კვირაში \$65,000-ს ქვემოთ დაეცა, რადგან შეერთებულ შტატებში არსებული მაკროეკონომიკური გაურკვევლობა ინვესტორებში რისკებისგან თავის არიდების განწყობას იწვევს. ვარდნას კიდევ უფრო აძლიერებს ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებული დაძაბულობა, აგრეთვე აშშ-ის ტარიფებთან დაკავშირებული მოვლენები, მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ თავისი ისტორიული გადაწყვეტილება გამოაცხადა.


გეოპოლიტიკა

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ტარიფებთან დაკავშირებით

6-3 გადაწყვეტილებით, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტ ტრამპის გლობალური ტარიფები გააუქმა. 2025 წელს ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, პრეზიდენტი 1977 წლის საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური უფლებამოსილების შესახებ აქტს (IEEPA) სავაჭრო პარტნიორებზე დაწესებული მძიმე გადასახადების გასამართლებლად იყენებდა. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ IEEPA პრეზიდენტებს კრიზისების დროს „იმპორტის რეგულირების“ საშუალებას აძლევს, რაც ტარიფების დაწესების უფლებას არ მოიცავს, ვინაიდან საგადასახადო პოლიტიკის წარმოება კონგრესის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. გადაწყვეტილების საპასუხოდ, ტრამპმა 1974 წლის სავაჭრო აქტის 122-ე მუხლი გამოიყენა და დროებითი, 150-დღიანი, 15%-იანი გლობალური ტარიფი დააწესა.



მაკროეკონომიკა



სუსტი Q4 ზრდა აშშ-ში

2025 წლის მესამე კვარტალში აშშ-ის ეკონომიკა წლიური 4.4%-ით გაიზარდა. თუმცა, ამ მაჩვენებელმა სისუსტეები შენიღბა, მეოთხე კი კვარტალში ზრდა მოლოდინზე მნიშვნელოვნად დაბალი აღმოჩნდა. მთელი წლის განმავლობაში კორპორატიული ინვესტიციები ძირითადად ხელოვნურ ინტელექტზე იყო კონცენტრირებული. გარდა ამისა, ძლიერი მაკროეკონომიკური მონაცემების მიუხედავად, მომხმარებელთა განწყობა საოცრად პესიმისტური რჩება და ცოტა ხნის წინ 2014 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა. ამერიკელები დაგროვილი ინფლაციის სიმძიმეს გრძნობენ. ხარჯების შესანარჩუნებლად, შინამეურნეობები კი სულ უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებულნი კრედიტზე, რამაც პირადი დანაზოგების მაჩვენებელი 3.6%-მდე შეამცირა.


კვირის მიგნება

2025 წლის დეკა-ვუ: ევროპული აქციები ამერიკულებს უსწრებენ

გლობალურ ინვესტორებს რეკორდული რაოდენობის თანხები გადააქვთ ევროპულ აქციებში და აშშ-ის ბაზარს ტოვებენ, რომელსაც ახლა ბევრი ზედმეტად გადაფასებულად და ტექნოლოგიებზე მეტისმეტად დამოკიდებულად მიიჩნევს. 2026 წლის თებერვალში ევროპულმა აქციებმა ისტორიაში ყველაზე მაღალი ყოველთვიური შემოდინება დააფიქსირეს. გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და ესპანეთის მთავარმა ინდექსებმა ყველა დროის მაქსიმუმს მიაღწიეს. ეს ტენდენცია დიდ წილად დივერსიფიკაციის სურვილითაა განპირობებული, ვინაიდან ბევრი ინვესტორი შიშობს, რომ აშშ-ის ბაზრები ხელოვნური ინტელექტის „ბაბლშია“ შესული.

ევროპა ინვესტორებს ინდუსტრიების უფრო ტრადიციულ ნაზავს თავაზობს, როგორც საბანკო საქმე, ბუნებრივი რესურსები და ინფრასტრუქტურაა. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს FTSE 100-მა წელს კარგად იასპარეზა ფიზიკურ აქტივებსა და საქონელზე მაღალი მოთხოვნის გამო. ასევე იზრდება ოპტიმიზმი ევროპის ეკონომიკური აღდგენის მიმართ. გერმანია, რეგიონის ყველაზე დიდი ეკონომიკა, ზრდას დაუბრუნდა, რაც თავდაცვის ხარჯებისა და ინდუსტრიული შეკვეთების მასიური მატებითაა განპირობებული. ამან დადებითი გარემო შექმნა ისეთი თავდაცვითი კომპანიებისთვის, როგორც Rheinmetall და BAE Systems-ია.



მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის შემოსავლების ზრდა ტექნიკურად ჯერ კიდევ უსწრებს ევროპისას, ანალიტიკოსები აღნიშნავენ შეფასების სხვაობის იგნორირება რთულია; ევროპული აქციები გაცილებით დაბალი ფასი-მოგების კოეფიციენტით იყიდება, ვიდრე მათი ამერიკული ანალოგები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პორტფელის მენეჯერი უპირატესობას კონკრეტული აქციების შერჩევას ანიჭებს და არა ფართო ინდექსების ყიდვას, საერთო კონსენსუსი ნათელია: აშშ-ში დაფუძნებული ფონდებიდან დაწყებული იაპონელი ინვესტორებით დამთავრებული, მსოფლიო ევროპას უყურებს, როგორც ტექნოლოგიებით დატვირთული უოლ სტრიტის უფრო იაფ და სტაბილურ ალტერნატივას.



წყარო: Bloomberg



ბაზრის მამოძრავებლები

CrowdStrike-ის აქციები ამ კვირაში მას შემდეგ დაეცა, რაც Anthropic-მა თავის Claude მოდელში ახალი ფუნქციის დამატების შესახებ გამოაცხადა. "Claude Code Security" მიზნად ისახავს კოდების ბაზის სკანირებას და მათ გამოსწორებას, რამაც პოტენციურად შეიძლება კიბერ-უსაფრთხოების ტრადიციული პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებლებზე მოთხოვნა შეამციროს.



Palo Alto Networks კიდევ ერთი უსაფრთხოების პროვაიდერია, რომელიც Anthropic-ის ახალი პროდუქტის გამოშვებით დაზარალდა. საგულისხმოა, რომ კომპანიის აქციები მზარდი ფულადი ნაკადებისა და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული პოზიტიური პროგნოზის მიუხედავად დაეცა, რაც ბაზრის ზოგად განწყობას ასახავს.

DoorDash-ის აქციები მას შემდეგ გაიზარდა, რაც კომპანიამ მოლოდინებზე უკეთესი წლიური შედეგები დააფიქსირა. კომპანია მიზნად ისახავს შექმნას ერთიანი ტექნოლოგიური პლატფორმა თავისი მრავალი აპლიკაციისთვის. მეორე მხრივ, საკვების მიტანის პერსპექტივას მომხმარებელთა სუსტი განწყობა ზღუდავს, რაც DoorDash-ის მიმართ ბაზარზე კითხვებს აჩენს.



Ebay-ს აქციები რამდენიმე პოზიტიური განცხადების შემდეგ იზრდება, მათ შორის Depop-ის — მეორადი ტანსაცმლის ონლაინ ბაზრის შექმნის გამო, რომელიც ახალგაზრდა თაობებშია პოპულარული. ზრდა გამყარებულია კომპანიის მეოთხე კვარტლის ძლიერი მოგების შედეგებით, სადაც შემოსავალი გასულ წელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა.

კვირის განრიგი

ორშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
გერმანია	<ul style="list-style-type: none">Ifo-ს ბიზნესის განწყობა

სამშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
---------	------------

ოთხშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
გერმანია	<ul style="list-style-type: none">Gfk-ს მომხმარებელთა განწყობა

ხუთშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
---------	------------

პარასკევი

რეგიონი	ინდიკატორი
საფრანგეთი	<ul style="list-style-type: none">ინფლაცია საცალო გაყიდვები
ინდოეთი	<ul style="list-style-type: none">მშპ-ს ზრდა
გერმანია	<ul style="list-style-type: none">ინფლაცია

სიმბოლო	ტიპი
---------	------

D	შედეგები
OKE	შედეგები
FANG	შედეგები
KEYS	შედეგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

HD	შედეგები
CEG	შედეგები
MELI	შედეგები
BNS	შედეგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

NVDA	შედეგები
TJX	შედეგები
CRM	შედეგები
LOW	შედეგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

RY	შედეგები
TD	შედეგები
INTU	შედეგები
CM	შედეგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

BRK	შედეგები
GTLS	შედეგები
PSO	შედეგები
FRO	შედეგები

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის.

რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განახლოონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულებას გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განახლოს.

მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. შესაძლოა მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას შესაძლო პირის ქმედებებთან დაკავშირებით.

თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 მარჯანიშვილის ქუჩა., თბილისი 0102, საქართველო
Tel: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733

მეილი: research@tbccapital.ge
მეილი: macro@tbcbank.com.ge



TBC CAPITAL

www.tbccapital.ge